

დტსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

## თვითშეფასების ანგარიში

(2013-2014 სასწავლო წელი)

## პრეამბულა

დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის (ხუ) შექმნის დღიდან მისი მუშაობის მთავარი მიზანი/სამიზნე პროგრამის ხარისხის შეფასებაა. თავის დროზე, „აიეტი“ (ამჟამად დტსუ) ხუ-ის სამსახურმა შეიმუშავა თვითშეფასების კითხვარი, რომელსაც საფუძვლად დაედო საქართველოს განათლების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები, ამავე ინსტიტუციებში ჩატარებული მრავალრიცხოვანი ტრენინგები ევროპელი ექსპერტების მონაწილეობით, ასევე განათლების (მათ შორის სამედიცინო განათლების) საკითხებზე გამოქვეყნებული ლიტერატურის ანალიზი. ამასთან, პროგრამის ხარისხის შეფასების ასპექტების და/ან კრიტერიუმების უცვლელობის/უნივერსალობის პირობებშიც კი უმნიშვნელოვანეს ტერმინებად რჩება „მიზნებთან შესაბამისობა“ (I) და „მიზნების შესაბამისობა“ (II). I - ხშირად გამოიყენება ხუ სფეროში და მიზნის განაცხადთან სტრატეგიის შესაბამისობის ხარისხს განსაზღვრავს. II კი თავად დასახული მიზნების სისწორეს ახასიათებს. ამასთან, I ცნებას აზრი აქვს (ხარისხის მიღწევას ობიექტურად ხელს უწყობს) მხოლოდ მაშინ, როცა დასაბუთებული და დემონსტრირებულია თავად მიზნების სისწორე. ამგვარად, საქმიანობის (პროგრამის განვითარება/მოდერნიზაცია) დაგეგმვისა და რეალიზაციის ხარისხის კრიტერიუმებია როგორც გარანტირებული „მიზნებთან შესაბამისობა“ (ანუ გაცხადებული მიზნების მიღწევის შესაძლებლობა), ასევე გარანტირებული „მიზნებთან შესაბამისობა“ (ანუ არჩეული მიზნების შესაფერისობა, მართებულობა დარგის/საზოგადოების მოლოდინებთან). შესაბამისად, მათ შორის, ამ ზ/ა კონტექსტში პროგრამის ნებისმიერი განვითარების/მოდერნიზაციის შესაძლებლობების განსაზღვრისას თანაბრად მნიშვნელოვანია შემდეგი ორი საკითხი: 1) კურიკულუმის ცვლილება დარგში (მედიცინა) არსებული ცვლილებების/მიღწევების/გამოწვევების შესაბამისად (საპასუხოდ). 2) პროცესის სწორად/სათანადოდ მომზადება;

უმაღლეს განათლებაში (მათ შორის დიპლომამდელი სამედიცინო განათლება) საბაზისო მეცნიერებათა სწავლებას, ყველა ექსპერტული შეფასებით ჯერ კიდევ აქვს: (i) მასალის ნაკლებად გამართლებული განმეორებადობა; (ii) ფაქტებით გადატვირთვა; (iii) კურსდამთავრებულის მომავალ საქმიანობასთან ნაკლები შესაბამისობა; (iv) სწავლებაში ინტეგრაციის არ არსებობა/ნაკლებობა; (v) მეტი აქცენტი სწავლებაზე, ნაკლები სწავლაზე. შესაბამისად, ყველა უნივერსიტეტში (მათ შორის საქართველოშიც) არსებობს საგანმანათლებლო პროგრამებში (მათ შორის დმ) ცვლილებების, განვითარების, მოდერნიზაციის საჭიროების გაცნობიერება. ამასთან, მოდერნიზაცია, პროგრამის მომავალი რეალური იმპლემენტაციის შესაძლებლობით, არ ხდება „ზემოდან“ ადმინისტრაციული ბრძანების საფუძველზე და/ან სპეციალურად ამისთვის გამოყოფილი ფინანსების არსებობის პირობებშიც (ჩვენს შემთხვევაში ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ტემპუსის პროექტი) კი. რადგან პროგრამათა

მოდერნიზაცია რთული და მრავალკომპონენტური პროცესია, და უაღრესად სწრაფად ცვლად თანამედროვე გარემოში მისი ყველა ასპექტის „სწორად განსაზღვრა“, „სწორად დაგეგმვა“ და „სწორად წარმართვა“ ძალზე მნიშვნელოვანია; რადგან განხორციელებულ ცვლილებების (დახარჯული დრო, ფული, ა. შ.) მიუხედავად არ დარჩეს იგივე მოცულობის განსხვავება „რისთვის არის მზად კურსდამთავრებული“ და „რა სჭირდება დამსაქმებელსა და საზოგადოებას“ შორის. წინამდებარე შეფასება ეხება ამ პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტების განხილვას დღეს პროგრამის მოდერნიზაციის გამოცდილებაზე დაფუძნებით; კერძოდ, „სწორად განსაზღვრა“: „მოდერნიზაციის მიზნის სისწორის“ და „მიზნებთან შესაბამისობის“; „სწორად დაგეგმვა“: კურიკულუმის მოდელი და საგანმანათლებლო სტრატეგია; კურიკულუმის ახალ თემები; სწავლების ახალი სიტუაციები („აქტიური სასწავლო კვირა“), სწავლების ახალი მიზნები და ხერხები, შეფასების ახალი მეთოდები, შტატის განვითარების ახალი სტრუქტურები (სამედიცინო განათლების ცენტრი); „სწორად წარმართვა“: არსებული და/ან საჭირო ადამიანური რესურსებიდან (მათ შორის ადმინისტრაცია, დამსაქმებელი სტუდენტი) „ვინ“, „რა ეტაპზე“ „რატომ და როგორ“ უნდა იყოს პროცესის მომზადებაში ჩართული.

პროგრამათა მოდერნიზაციისთვის ერთერთი ყველაზე ეფექტურ საშუალებად ამჟამად პრობლემაზე-დაფუძნებული სწავლება მოიაზრება, რადგან ითვლება, რომ იგი იდეალური გზაა სტუდენტისთვის ისწავლოს დარგისთვის ღირებული დისციპლინების ის შინაარსი და მოცულობა, რაც მას მომავალში დასჭირდება, ამასთან PBL იძლევა სწავლის (learning) კონტექსტუალიზაციის საშუალებას; ამ გზით სტუდენტები იძენენ დარგში მომავალი საქმიანობისთვის საჭირო ბევრ უნარჩვევას. ამასთან პროგრამის (მათ შორის MD) მოდერნიზაციას ფრთხილი და გააზრებული მუშაობა სჭირდება, რათა (1) „მოდერნიზაცია“ არ დარჩეს ქაღალდზე.; (2) მოხდეს ცვლილებების პრაქტიკაში განხორციელება და მას კურსდამთავრებულთა ცოდნის, უნარჩვევების, მომავალი საქმიანობისთვის მზაობის თვალსაზრისით უარესი შედეგი არ მოჰყვეს, ვიდრე ძველი პროგრამის ფარგლებში.

ხუ სამსახურის თვითშეფასების წინამდებარე ანალიზი ეხება ტემპუსის პროექტის („Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“) ფარგლებში მომზადებული დღეს დიპლომირებული მედიკოსის ახალი პროგრამის ხარისხის შეფასებას და ანალიზს ზ/ა საკითხების გათვალისწინებით და მათზე ფოკუსირებით.

სამუშაო ჯგუფის წევრები: დღეს-ის ხუ სამსახურის ხელმძღვანელი თ. თალაკვაძე, ხუ-ის ჯგუფის წევრები: ასოცირებული პროფესორი ნ. ბრეგვაძე, პროფესორი დ. კასრაძე, მე-5 კურსის სტუდენტი ა. გიორგაძე, დოქტორანტი ლ. ნადაშვილი, დოქტორანტი ნ. ზავრაშვილი, კურსდამთავრებული ა. ნადირაძე;

### ხარისხის შეფასების ასპექტები:

- დამსაქმებელთა მოთხოვნები;
- სწავლის მოსალოდნელი შედეგები;
- პროგრამის აღწერა (თავისებურებები);
- პროგრამის/კურსკულუმის შინაარსი;
- პროგრამის ორგანიზაცია;
- სწავლების/სწავლის სტრატეგია, დიდაქტიკური კონცეფცია;
- სტუდენტთა შეფასების სისტემა;
- აკადემიური შტატის ხარისხი;
- დამხმარე შტატის ხარისხი;
- სტუდენტთა ხელშეწყობა და კონსულტირება;
- ინფრასტრუქტურა და გარემო;
- სტუდენტთა შეფასება (სტუდენტთა აზრის კვლევა);
- კურიკულუმის დიზაინი და შეფასება;
- შტატის განვითარების აქტივობები;
- კურსდამთავრებულთა მიღწევები.

# დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა (ე-პდს)

## 1. დამსაქმებელთა მოთხოვნები

ხუ-ის სამსახური ბოლო რამოდენიმე წელი განსაკუთრებულ („შემღებისდაგვარად“) ყურადღებას უთმობს დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზს. შემუშავებული აქვს კითხვარი, ატარებს გამოკითხვას, აკეთებს შედეგების ანალიზს (იხ. ხუ თვითშეფასების 2012-2013 სასწ. წლის ანგარიში), ამასთან შედეგების ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია და განსაკუთრებით იმპლემენტაცია მეტად ფრთხილ და გააზრებულ მოქმედებას საჭიროებს რიგი გარემოებების გამო (თავად დამსაქმებელთა „განსხვავებულობა“, საქართველოში საკმაოდ შეზღუდული დასაქმების ბაზარი, ჯანდაცვის სექტორის დიდი ნაწილის მოგებაზე ორიენტაცია ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმის ფარგლებში და სხვ.); ამასთან, დიპლომირებული მედიკოსის ახალი პროგრამისთვის და მასზე მომუშავე ჯგუფისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ დარგისთვის ღირებული ზოგადი კომპეტენციებიდან დამსაქმებლები განსაკუთრებით გამოყოფენ „სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების უნარს, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, დარგის ცოდნა და პრობლემის იდენტიფიცირების, პრობლემის დასმის და გადაწყვეტის უნარს“ (დანართი 1.1 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ოქმი #2, 2012-2013 სასწავლო წელი, 15 ოქტომბერი).

დტსუ-ის ახალი პროგრამის საბაზისო სწავლების ეტაპზე პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ფორმატის (PBL სესიები, PBL კვირა) გამოყენება მსოფლიოში არსებული ყველა ექსპერტული შეფასებით უპირველეს ყოვლისა ამ (ზ/ა) უნარებს ანვითარებს; ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი (დამსაქმებელთა შეფასებით) 5 დარგობრივი კომპეტენციიდან გამოირჩევა კლინიკური მეცნიერებების ცოდნა (PBL ფორმატი დარგობრივი ცოდნის კლინიკურ მნიშვნელობაზე მეტი კონცენტრაციის საშუალებას იძლევა), სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია და მტკიცებულებების გამოყენება მედიცინაში, აგრეთვე ზოგიერთ სხვა საკითხზე (დამსაქმებელთა მხრიდან მაღალი შეფასების მქონე) მეტი ფოკუსირებაა სწორედ ახალ პროგრამაში.

პროგრამა, მისი მნიშვნელოვანი ასპექტები მოხსენებული და განხილული იყო ტემპუსის პროექტის პარტნიორებთან, EURAS, AMEE, ცენტრალური აზიის ქვეყნების, საქართველოში განათლების საკითხების ირგვლივ გამართულ ფორუმებსა და კონფერენციებზე, საქართველოს სამედიცინო სპეციალობების ასოციაციის სპეციალურ შეკრებაზე [(იხ. დანართი 1. 2. პროგრამის ცნობადობის, კონკურენტუნარიანობის, ა. შ. მიზნით ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე

პროგრამის პრეზენტაცია) და საქართველოს სამედიცინო სპეციალობების ასოციაციის ვებ გვერდი. 27.03. 2014].

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ 2012/2013 სასწ. წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით

#### **ძლიერი მხარეები:**

- სასწავლებელის მიერ საკითხის მნიშვნელოვან გაცნობიერება.
- სასწავლო პროგრამის, მისი საბოლოო შედეგების ფორმალური შესაბამისობის არსებობა ევროპულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან.
- დარგობრივსპეციფიური და ზოგადი კომპეტენციების კითხვარის შემუშავებულია და მიმდინარეობს კვლევები.
- პროგრამა (მისი სხვადასხვა ასპექტი) მოხსენებული და განხილულია რიგ საერთაშორისო ფორუმებზე.

#### **სუსტი მხარეები:**

- დამსაქმებელთა დიფერენციულ (გარკვეული წესით დაჯგუფებულ) ჯგუფებში სპეციალური კვლევების არ არსებობა.

#### **სამოქმედო გეგმა:**

- დამსაქმებელთა დიფერენციულ ჯგუფებში კითხვარის განხილვა/დაზუსტება.
- ახალი კვლევების (დაზუსტებული კითხვარი, დამსაქმებელთა სახეობები) დაგეგმვა და განხორციელება.
- დტსუ პროგრამების საერთაშორისო ცნობადობის და დიპლომის აღიარების (მეტ ქვეყანაში) მიზნით საერთაშორისო ქსელებში (მაგ: EURAS, AMSE, ORFHEUS, ა. შ.) მონაწილეობის გაგრძელება მათ შორის ამ (დასაქმების ბაზარი) მიმართულებით.

## **2. swavlis mosalodneli Sedegebi**

პროგრამის საბოლოო შედეგების ეტაპობრივი მიღწევის შესაღებლობა ნაჩვენებია პროგრამაში, სასწავლო კურსების სილაბუსებში, მათ შორის ზოგადტრანსფერული კომპეტენციებისაც, რომლის დიდი ნაწილი სამედიცინო პროფესიონალიზმის შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტებია. შემუშავებულია ამ კომპეტენციათა მიღწევის და ეტაპობრივი შეფასების კრიტერიუმები. შემუშავებულია კლინიკური უნარჩვევების შეფასების სპეციალური ფორმები და პორტფოლიოს სქემა (იხ.ხუ 2012/2013 ანგარიშში დანართი 3, 4)

ასევე PBL-ში აქტივობის შეფასების ინდიკატორები და დესკრიპტორები ( დანართი 1.3. PBL-ში აქტივობის შეფასება).

ამასთან ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკა გულისხმობს სამედიცინო საქმიანობას ბევრად გართულებულ გარემოში, კერძოდ სამედიცინო საქმიანობას: (i) მტკიცებულებაზე დაფუძნებულ სამედიცინო სისტემებში; (ii) ავადმყოფის მოვლის შედეგებზე-დაფუძნებულ სტანდარტებს; (iii) სამეცნიერო მიღწევების/ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას; (iv) ელექტრონული საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას; (v) შესაძლებელი და შესაბამისი სამედიცინო მოვლისთვის უსაფრთხო და ხარისხიანი მენეჯმენტის კომპეტენციას.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის საბაზისო ეტაპისთვის სწორედ ამ გარემოს ადეკვატურად ხდება „სასწავლო კვირის“ და შესაბამისად სტუდენტისთვის ახალი აქტიური სასწავლო გარემოს ფორმირება: ასევე PBL -კვირაში უზრუნველყოფილი იქნება კლინიკური უნარ-ჩვევების შექმნა დტსუ ამბულატორიულ და ჰოსპიტალურ ბაზებზე, კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორიაში, ასევე ექსპერტული ფორუმი, სამედიცინო პროფესიონალიზმში (ბიოეთიკა) გამოცდილება, მტკიცებულებაზე-დაფუძნებული სახელმძღვანელო (დაავადებათა დიაგნოსტიკის/სკრინინგის და ჯანმრთელობის შენარჩუნების); აგრეთვე სესიები, სამეცნიერო კითხვა/სამეცნიერო უნარები აუცილებელი მედიცინის კურსდამთავრებულთათვის. ამ გზით მოხდება ახალი პროგრამის საბაზისო სწავლების ეტაპებისთვის „სასწავლო კვირის“ და შესაბამისად სტუდენტისთვის ახალი, აქტიური სასწავლო გარემოს ფორმირება, რაც უფრო მეტად ადაპტირებული და შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის ზ/ა „გართულებულ“ გარემოსთან.

### **ძლიერი მხარეები:**

- სწავლის მოსალოდნელი შედეგები, კომპეტენციები პროგრამულად ასახულია. იმპლემენტაციის განხორციელების პროცესი ფორმალურად დასრულებულია.
- პროგრამის საბოლოო შედეგების ეტაპობრივი მიღწევის შესაძლებლობა ნაჩვენებია სასწავლო კურსების სილაბუსებში.
- ზოგადტრანსფერული კომპეტენციების შეფასებისთვის არსებობს ეტაპობრივი შეფასების კრიტერიუმები.

- არსებობს PBL-ის და კლინიკური უნარჩვევების შესაფასებელი სპეციალური ფორმები და პორტფოლიოს სქემა.
- ამ ტიპის პროგრამებს (ქეისზე დაფუძნებული PBL სწავლება) მუდმივად აქვს სამედიცინო პრაქტიკასთან შესაბამისი განვითარების საშუალება მათ შორის ახალი ქეისების შექმნის გზით.

#### **სუსტი მხარეები:**

- დტსუ-ს აკადემიური შტატის და სტუდენტების ინფორმირებულობის ნაკლებობა სწავლის შედეგების მნიშვნელობის შესახებ (კლინიკური და პროფესიული უნარჩვევები) მათ შორის ახალი პროგრამის ფარგლებში.
- ფორმალური იმპლემენტაციის (პროგრამულ დონეზე, სილაბუსებში სათანადოდაა ასახული) რეალურ სასწავლო პროცესში ასახვის ნაკლებობა (პროგრამა ჯერ არ არსებობს/პროგრამა ჯერ არ ამუშავებულა).

#### **სამოქმედო გეგმა:**

- სწავლის ეტაპობრივი და საბოლოო შედეგების ირგვლივ სასწავლო კურსების ორგანიზაციის გაზრდა.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის განვითარების ჯგუფთან ერთად აკადემიური შტატისა და სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება ახალი პროგრამის შესახებ (შეხვედრები, განხილვები, ვებ- გვერდზე გარკვეული მასალების განთავსება).
- კლინიკური უნარჩვევების შეფასების მეთოდოლოგიათა ანალიზის ჯგუფის შექმნა.
- PBL-ში აქტივობის შეფასების იმპლემენტაციაზე დაკვირვება.
- PBL კვირაში GCE შეფასებაზე (მინი-კლინიკურ Evaluation) დაკვირვება.

### **3. პროგრამის აღწერა (თავისებურებები)**

დტსუ-ში ახალი დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაში ყველა სასწავლო კურსის შინაარსი სათანადოდაა აღწერილი სილაბუსებში; მათი თანამიმდევრობა, ორგანიზება, სწავლის შედეგები ა. შ. სათანადოდ აღწერილია პროგრამაში (იხ. დიპლომირებული მედიკოსის ახალი პროგრამა).

თითოეულ სასწავლო კურსში ზოგადტრანსფერული და დარგობრივი ცოდნა/უნარების მეშვეობით ნაჩვენებია რისი მიღწევაა შესაძლებელი კურსის გავლის შემდეგ, აღწერილია კომპეტენციების შინაარსის ადექვატური სწავლებისა და სწავლის მეთოდები, თუმცა კვლევა/შესწავლა, თუ რა დონეზეა აღნიშნული კომპეტენციების მიღწევა შესაძლებელი უნდა გაგრძელდეს. სასწავლო პროგრამის სტრუქტურული ორგანიზაციის შესაბამისად დისციპლინის სილაბუსში სათანადოდაა განმარტებული მისი რომელი ნაწილი რა მოდულის შექმნაში, რა მოცულობით, რომელ სემესტრში მონაწილეობს.

### **Zlieri mxareebi:**

- სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები აღწერილია ზოგად/ტრანსფერული და დარგობრივი, ცოდნა/გაცნობიერებისა და უნარ-ჩვევების კომპეტენციებით.
- სილაბუსში სათანადოდაა აღწერილი დისციპლინის რა სასწავლო ნაწილები, რა კრედიტით და რომელ სასწავლო მოდულებშია გაერთიანებული.

### **სუსტი მხარეები:**

- თითოეული სასწავლო კურსის შესაძლებლობათა სიღრმისეული (მაგ: კლინიკური უნარჩვევების ასათვისებლად ბაზის შესაძლებლობათა ანალიზით) ანალიზის არ არსებობა, რაც გულისხმობს რომელი კომპეტენციების რა დონეზე მიღწევაა შესაძლებელი კონკრეტული კურსის გავლის შემდეგ;
- კლინიკური კომპეტენციების სპეციფიკის ადექვატური შეფასების მეთოდების დიფერენცირებული შერჩევის არ არსებობა და სრული პროგრამული იმპლემენტაციის ნაკლებობა;

### **სამოქმედო გეგმა:**

- პროგრამის ამ ნაწილზე (იხ. სუსტი მხარეები) მუშაობის დაწყება.

#### 4. 5. პროგრამის/კურიკულუმის შინაარსი და პროგრამის ორგანიზაცია

განათლების (მათ შორის სამედიცინო განათლების) შესახებ თანამედროვე ცოდნის მიხედვით კურიკულუმის შინაარსის ანალიზი და პრეზენტაცია სხვადასხვა პერსპექტივით შეიძლება: (i) საგნები ან დისციპლინები (ტრადიციული კურიკულუმი), (ii) ორგანიზმის სისტემები, მაგ.: კარდიოვასკულური სისტემა (ინტეგრირებული კურიკულუმი), (iii) სიცოცხლის ციკლი, მაგ.: ბავშვები, მოზარდები, მოხუცებულთა ასაკი; (iv) პრობლემები (პრობლემაზე დაფუძნებული); (v) კლინიკური პრეზენტაციები ან ამოცანები (სცენარზე-დაფუძნებული, ქეისზე დაფუძნებული ან ამოცანაზე-დაფუძნებული კურიკულუმი); ამასთან, ეს მიდგომები არ არის ურთიერთგამომრიცხავი. შესაბამისად აღწერის სქემა იმგვარი უნდა იყოს, რომელიც კურიკულუმის შინაარსს განიხილავდეს 2 ან მეტი თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დტსუ ახლმა პროგრამამ: მისმა საბაზისო ნაწილმა (რომელსაც ახალი პროგრამის ფარგლებში ჰქვია „საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებების კურსი“): I-II სემესტრის განმავლობაში შეინარჩუნა დტსუ არსებული პროგრამის შინაარსი, როგორც ორგანოთა სისტემებზე დაფუძნებული ინტეგრირებული სწავლების შემდგომი კურსის (III-V სემესტრი) სწავლების შესავალმა და ბაზისმა; ამ ინტეგრირებულ კურსში (III-V სემესტრი) შემოვიდა PBL კვირა, როგორც საბაზისო მეცნიერებათა სწავლების პრობლემაზე ორიენტირებული ფორმა და ეს პრობლემა მოწოდებულია კლინიკური პრეზენტაციების/ამოცანების სახით ქეისსა და სცენარზე დაფუძნებით. PBL კვირის გამოყენებით და მისი საშუალებით ორგანიზებულია სწავლების VI სემესტრი ადამიანის უმნიშვნელოვანესი ფუნქციების (სიცოცხლის ციკლი, ა. შ.) ირგვლივ საბაზისო სამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებათა ინტეგრირებით. შესაბამისად, ახალი პროგრამის შინაარსი (i) სტუდენტს აძლევს საშუალებას ისწავლოს მედიცინისთვის ღირებული სამედიცინო დისციპლინების ის შინაარსი და მოცულობა, რაც მას მომავალში დასჭირდება; (ii) იგი იძლევა სწავლის (და აქედან გამომდინარე სწავლის მოსალოდნელი შედეგების ნაწილშიც) მეტი კონტექსტუალიზაციის საშუალებას; (iii) სტუდენტები ამ გზით იძენენ ექიმის საქმიანობისთვის საჭირო ბევრ უნარ-ჩვევას.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი შეფასების ზ/ა ნაწილი ეხება ე. წ. „დეკლარირებულ“ კურიკულუმს: ანუ ინსტიტუციურ დოკუმენტებში ასახულს - გაწერილს პროგრამის დონეზე, აღწერილს სილაბუსებში, სასწავლო კვირებში, ა. შ. ყველაფერი ეს ახალი პროგრამისთვის არსებობს; ამასთან კიდევ არსებობს „სწავლების“/“სასწავლო“ კურიკულუმი (ანუ რაც ხდება რეალურ პრაქტიკაში) და „ნასწავლი“/“შესწავლილი“ კურიკულუმი (რასაც სტუდენტი სწავლობს), რაც მიეკუთვნება კურიკულუმის ე. წ. „არაფორმალურ“ ნაწილს. პროგრამის ამუშავებისთანავე, ხუ-ის მომავალი საქმიანობის (იხ. სამოქმედო გეგმა) მთავარი სამიზნე სწორედ მასზე მონიტორინგი და შეფასება უნდა გახდეს.

### ახალი პროგრამის ძლიერი მხარეები:

- ამ პროგრამის (მისი შინაარსის/პროგრამის ორგანიზების კუთხით) დეტალური ანვითარებას ახალი კურიკულუმის მოდელსა და საგანმანათლებლო სტრატეგიას;
- კურიკულუმში შემოაქვს ახალი თემები;
- პროგრამას შემოაქვს სწავლების ახალი სიტუაციები, ახალი მიზნები და ხერხები;
- პროგრამის ორგანიზაცია სტუდენტებს სწავლების ადრეულ ეტაპზევე აძლევს ექიმის მსგავსად ფიქრის საშუალებას;
- ზრდის დეტალურ-ში არსებული პროგრამის ინტეგრაციის ხარისხს;

### სამოქმედო გეგმა:

- სამედიცინო განათლების ცენტრის მიერ და ტემპუსის პროექტის ფარგლებში დაგეგმილ სამუშაოთა ეფექტური განხორციელება.
- ახალი პროგრამის (ახალ პროგრამის ე.წ. „სასწავლო“ და „ნასწავლი“ კურიკულუმის შეფასებისთვის) რეალიზაციის ეფექტურობის შეფასებისთვის სტრატეგიის შემუშავება და მონიტორინგი.

## 6. სწავლების/სწავლის სტრატეგია, დიდაქტიკური კონცეფცია

დეტალურ-ში დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების/სწავლის სტრატეგიაში გათვალისწინებულია სამედიცინო დარგისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი--კლინიკურ გარემოში სწავლება. აგრეთვე, აღნიშნული კლინიკური გარემოს მრავალფეროვნება (მწვავე პაციენტი გადაუდებელი მკურნალობის განყოფილებაში, ქირურგიული პაციენტი, ბავშვები, ფსიქიატრიული, გინეკოლოგიური და სხვა). სტუდენტთა სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობის ხელშეწყობა; ზემო აღნიშნული დარგობრივი დოკუმენტის მნიშვნელოვანი მოთხოვნებია.

სილაბუსებში დეტალურად გაწერილია ის დავალებები, რასაც სტუდენტი ასრულებს (დამატებითი ლიტერატურის მოძიება, პროფესიული ჩვევების ტრენინგი და სხვ.); სტუდენტის კლინიკური და სხვა სახის პრაქტიკის შეფასების მეთოდები და ფორმები მეტნაკლებად ასახულია სილაბუსში და პროგრამის შეფასების სისტემაში; მათი (პროფესიული უნარ-ჩვევების შეფასების) იმპლემენტაციის და სტუდენტის საბოლოო შეფასებაში ასახვის მიმართულებით მუშაობა გრელდება;

კლინიკური უნარ/ჩვევების (სიმულატორების და მულაჟების გამოყენებით) სასწავლო კურსი არსებობს; სხვადასხვა სასწავლო კურსების შესახებ სტუდენტთა აზრის გამოკითხვა გრძელდება. სწავლება მიმდინარეობს დტსუ შესაბამის კლინიკურ ბაზებზე. უნივერსიტეტმა იზრუნა კლინიკური ბაზების გაფართოებაზე. გააფორმა ხელშეკრულება „ჩემი ოჯახის კლინიკასთან“ რომელსაც გამოიყენებს სტუდენტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა მომზადებაში.

სწავლების პროცესში გამოყენებულია შემდეგი ფორმები: ინტერაქტიული ლექციები და სემინარები; კლინიკურ გარემოში სწავლება (bedside teaching); პაციენტისა და ექიმის როლების შესრულება; ლაბორატორიული სწავლება; პრეზენტაციები; სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა. ტემპუსის პროექტის ფარგლებში ახალი პროგრამისთვის შემუშავებულია სწავლების/სწავლის ახალი სტრატეგიული მიმართულება (e PBL VP-ზე დაფუძნებით) ახალი პროგრამის III-VI სემესტრში ჩართული მოდულები PBL ტუტორიალების (სწავლება/სწავლა) საშუალებით. ზ/ა ყველა ექსპერტული შეფასებით პროგრამის მოდერნიზაციის მნიშვნელოვანი ასპექტია, რაც (მათ შორის) ზრდის პროგრამის სტუდენტზე-ორიენტირებულობას; შესაბამისად პროგრამის სწორი რეალიზაციის პირობებში სტუდენტებს ექნებათ მეტი არჩევანი (ცნობილია, რომ განსხვავებული ადამიანები განსხვავებულად სწავლობენ), რაც ასევე ამ პროგრამის ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს. PBL კვირა ითვალისწინებს არა მხოლოდ ვირტუალურ პაციენტს, არამედ რეალურ კლინიკურ სიტუაციასთან წვდომას (ზოგადი კლინიკური გამოცდილების შექმნა ამბულატორიულ და ჰოსპიტალურ პრაქტიკაში), კლინიკური და სამეცნიერო უნარების სრულყოფას, ა. შ. შესაბამისად, პროგრამის ამ ასპექტში

#### **ძლიერი მხარეებია:**

- PBL ფორმატში სწავლება.
- სცენარსა და ავდმყოფის ქეისზე დაფუძნებული სწავლება/სწავლა.
- სამედიცინო დარგისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი -- კლინიკურ გარემოში სწავლება.
- აღნიშნული კლინიკური გარემოს მრავალფეროვნება (მწვავე პაციენტი გადაუდებელი მკურნალობის განყოფილებაში, ქირურგიული პაციენტი, ბავშვები, ფსიქიატრიული, გინეკოლოგიური და სხვა).
- სტუდენტთა სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ახალ კლინიკურ და სამეცნიერო ბაზებზე ზრუნვა.

## სამოქმედო გეგმა:

- ხუ-ის სამსახურისა და სამედიცინო განათლების ცენტრის მიერ სემინარების ჩატარება დიპლომამდელ სამედიცინო განათლებაში პროფესიონალიზმის სწავლებისა და შეფასების მეთოდების შესახებ.
- კლინიკური და პროფესიული უნარჩვევების შეფასების იმპლემენტაციაზე შემდგომი ზრუნვა.
- სტუდენტის ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებაში კლინიკური და პროფესიული უნარჩვევების ასახვაზე მუშაობის გაგრძელება.
- ტემპუსის პროექტის ფარგლებში შექმნილი ახალი პროგრამის ფარგლებში სწავლების/სწავლის ახალი სტრატეგიების (ePBL, VP-ზე დაფუძნებით) სწორ რეალიზაციაზე დაკვირვება.

## 7. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა შეფასების სისტემამ გარკვეული ცვლილებები განიცადა დტსუ-ში ხუ-ის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის (2011 წ) მიხედვით შეფასების ნაწილში გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით. აღნიშნული ცვლილებები ასევე განხილული იყო სტუდენტებთან და პედაგოგებთან. 2012-2013 სასწავლო წლის განმავლობაში მეტი მუშაობა ტარდებოდა სტუდენტებთან შეფასების სისტემის შესახებ ინფორმატიულობის გასაზრდელად (იხ. ხუ თვითშეფასების წინა ანგარიში. შენიშვნა 6). კლინიკური უნარჩვევების შეფასების სისტემის შექმნის მიმართულებით მუშაობა გრძელდება (აღნიშნული შესწორებებით და ხუ-ის წინა ანგარიშის მიხედვით)

სამედიცინო პროგრამისთვის, სტუდენტთა შეფასების ნაწილში, ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი უმაღლესი სასწავლებლის მხრიდან იმის გაცნობიერებაა, თუ როგორ ხდება პროგრამაში ე. წ. „სამეცნიერო კომპონენტის“ და მისი შეფასების ორგანიზება. აქ საკითხის სხვა ფორმალურ კომპონენტებთან (სასწავლო კურსში შეფასების, პრეზენტაციის, ა. შ. შეფასებასთან) ერთად უმნიშვნელოვანესია ის უმაღლესი, რისთვისაც დმ-ისთვის აუცილებლად ითვლება გარკვეული სამეცნიერო უნარ-ჩვევების ფლობა, კერძოდ, „როგორ აფასებენ სტუდენტები და ახდენენ სამეცნიერო შედეგების ცოდნის პაციენტთა (მომავალ პაციენტთა) პოპულაციისთვის გამოყენებას“. ამ ნაწილში ხუ-ის სამსახურის და კურიკულუმის კომიტეტის ერთობლივმა ანალიზმა აჩვენა შემდეგი:

სტუდენტის მიერ კვლევის დაგეგმვის ეტაპზე პროექტში დევს კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობები, რომელიც ისევე ფასდება, როგორც პროექტის სხვა ნაწილები: სამეცნიერო ჰიპოთეზა, მასალა, მეთოდები, ა. შ. (proposal-ის სხვა ნაწილები).

სამეცნიერო ნაშრომის დასრულებისა და სტუდენტის მიერ მისი პრეზენტაციის ეტაპზე, ჩატარებული კვლევის ხარისხი (სხვა კომპონენტებთან ერთად) ფასდება თუ როგორ ხედავს სტუდენტი მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს.

ბ) სტუდენტის მიერ ნებისმიერი საკითხის კლინიკურ კონტექსტში გაცნობიერების შესაძლებლობასა/აუცილებლობას აგრეთვე ხელ უწყობს სწავლებაში

1. სამეცნიერო სასწავლო კურსები
2. სამედიცინო საბაზისო საკითხების კლინიკურ კონტექსტში გაცნობიერება:
  - (i) საბაზისო ეტაპზე სწავლება და შეფასება: ორგანოთა სისტემებზე დაფუძვნიებულ ინტეგრირებულ მოდულებში.
  - (ii) საბაზისო მეცნიერებათა სწავლებაში გამოყენებული ლიტერატურა.
  - (iii) საბაზისო მეცნიერებათა სწავლებაში გამოყენებული სასწავლო ფორმატი (მათ შორის ავადმყოფთა ქეისების პრეზენტაციით).

#### ძლიერი მხარეები:

1. სწავლებასა და სწავლაში ახალი ფორმატის შეფასების სისტემაში ასახვა.
2. შეფასების კომბინირებული სისტემის (მიმდინარე და შემაჯამებელი) არსებობა;
3. გამოიყენება შეფასების სხვადასხვა მეთოდები.
4. შეფასების არსებული სისტემა იძლევა იმის რწმენას, რომ პირი აკმაყოფილებს წინასწარ განსაზღვრულ მინიმალურ კომპეტენციებს.
5. შეფასებები და გამოცდები კურსის შინაარსსა და პროგრამას სრული მოცულობით ფარავს;
6. ყველა სასწავლო თემის/სასწავლო კომპონენტის როგორც მიმდინარე, ასე შესასწავლი სისტემის შესაბამისი განვლილი კურსის შემაჯამებელი შეფასების შესაძლებლობის არსებობა (ზეპირი და წერილობითი ფორმით).
7. სწავლების ეტაპების შესაბამისი შეფასება: სტუდენტთა გამოვლენა ვისაც შეუძლია (მიღწეული დონის მიხედვით) სწავლების შემდგომ ეტაპზე გადასვლა ან ვინც პროგრამის განმეორებას საჭიროებს;
8. სტუდენტის შეფასებაში ჩართულია მასწავლებელი, პროგრამ-დირექტორი, საგამოცდო ცენტრი, გარეშე ექსპერტი (მე-6კ. შემაჯამებელი გამოცდა);
9. შეფასებები და გამოცდები მთლიანობაში პროგრამის მიზნებს/ამოცანებს ფარავს;
10. შეფასების წესები, პროცედურები ნათელია, ცნობილია, ობიექტურობა გარანტირებულია;

11. არის განმეორებით გამოცდაზე დაშვების წესები;
12. არსებობს ნიშნის მინიჭების ნათელი და გამოქვეყნებული კრიტერიუმები.

### სამოქმედო გეგმა:

- 1) დაიგეგმოს და გაგრძელდეს გამოცდების შესახებ სტუდენტთა გამოკითხვა;
- 2) ხუ სამსახურმა გააგრძელოს სამედიცინო დიპლომამდელი განათლების ეტაპის სწავლის შედეგების/კომპეტენციების შესახებ საინფორმაციო სემინარები (ხუ სამსახურში ჩართული და სხვა დაინტერესებული სტუდენტების და დოქტორანტების მონაწილეობით).
- 3) მიეცეს რეკომენდაცია სასწავლო დეპარტამენტს, გააუმჯობესოს საგნის პროფესორებთან არსებული კომუნიკაცია, რეგულარული გახადოს საგამოცდო ტესტების რევიზირების პროცედურა, ჩატარებული მუშაობის შედეგები პერიოდულად მოხსენდეს კურიკულუმისა და შეფასების კომიტეტს.
- 4) გაგრძელდეს დტსუ-ში არსებული შეფასების სისტემის შემდგომ ობიექტივიზაციაზე მონიტორინგი.
- 5) დაიგეგმოს მასწავლებელთა (ტუტორები, კლინიკის ექიმები) ტრენინგი სამედიცინო განათლებაში (შეფასებაზე ფოკუსირებით).

### 8. აკადემიური შტატის ხარისხი

ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციის აუცილებელი პირობაა საჭირო რესურსების არსებობა, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ხარისხიანი კადრების არსებობა. როგორც ცნობილია დტსუ ახალი პროგრამის რეალიზაციას გეგმავს დტსუ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის (აკრედიტაცია მიენიჭა 2011 წლის 25 ნოემბერს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №341; ავტორიზაცია მიენიჭა 2011 წლის 28 ივლისს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №103) არსებული ქვოტის ფარგლებში. შესაბამისად, ამ პროგრამის განხორციელებაში დტსუ არსებული აკადემიური შტატი, აგრეთვე მოწვეული პედაგოგები იქნებიან ჩართული, რომლის რაოდენობა, ხარისხი, ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა: 1) სრულად დამაკმაყოფილებელია; 2) მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები არ განუცდია (მაგ.: 2012/2013 სასწ. წელთან მიმართებაში და მოცემულია ხუ თვითშეფასები წინა წლების ანგარიშებში). ამ პროგრამასთან მიმართებაში საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ საკითხის 2 მნიშვნელოვან ასპექტს:

- 1) PBL ტუტორიალებისთვის კადრების არსებობის/მათი მზაობის საკითხს;

2) ახალი პროგრამის „სხვა“ მონაწილეების (პროგრამის განმახორციელებელი დანარჩენი აკადემიური პერსონალის) ინფორმირების/მზაობის საკითხს.

1) ახალი პროგრამისთვის PBL ტუტორების მომზადება ტემპუსის პროექტის „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“ ფარგლებში პროგრამის მომზადების უმნიშვნელოვანესი ეტაპია და ხორციელდება სამედიცინო განათლების ლიდერი ქვეყნის და ლიდერი უნივერსიტეტის (ინგლისი; სენტ-ჯორჯის უნივერსიტეტი, რომელიც გარდა სწავლებისა, კვლევას ანხორციელებს მხოლოდ/არჩევითად სამედიცინო განათლების საკითხებზე) შტატით, რომელსაც ხელმძღვანელობს ამ დარგის (სამედიცინო განათლება) აღიარებული ექსპერტი სენტ-ჯორჯის და კაროლინსკას უნივერსიტეტების პროფესორი ტერი პულტონი. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა დტსუ-ის და აწსუ-ს მომავალი PBL ტუტორთა ტრენინგი დტსუ-ში. დტსუ-ს 4 PBL ტუტორი ჰყავს (იხ. დანართი 1.4. PBL ტუტორთა სერტიფიკატები), აგრეთვე, ქეისის ავტორობის და PBL სესიის ტექნიკური უზრუნველყოფის ნაწილში, სენტ-ჯორჯში ტრენინგი გაიარეს შესაბამისმა პირებმა (იხ. დანართი 1.5. PBL ტუტორთა სერტიფიკატები და შესაბამისი ანგარიშები). დტსუ PBL ტუტორები და სენტ-ჯორჯის (პროექტის სხვა მონაწილეები) წარმომადგენლები მუდმივ კომუნიკაციაში არიან და on-line რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას (რჩევები, გამოცდილების გაზიარება, ა. შ.).

2) ახალი პროგრამის „სხვა“ მონაწილეების (პროგრამის განმახორციელებელი დანარჩენი აკადემიური პერსონალის) ინფორმირების/მზაობის საკითხი: ამ მიმართულებით მუშაობა პროექტის ფარგლებში წინასწარ დაგეგმილ ფორმატში მიმდინარეობდა. „პროგრამის განვითარების“ ჯგუფი (ხუ სამსახური წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ) ყოველ PBL კვირის მიზნებს, ამოცანებს, კვირის ფორმატს, ფორმატით განსაზღვრულ პრაქტიკული მეცადინეობების თემებს/ლექციებს, სხვა მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავდა პროექტის მხარდამჭერი/ჩართული აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან (საბაზისო და კლინიკური მეცნიერებების წარმომადგენლები): ამ ფორმატით მუშაობამ არა მხოლოდ გაზარდა დტსუ აკად. პერსონალის ინფორმირება ახალი პროგრამის შესახებ, არამედ ახალი პროგრამა მომზადდა პრაქტიკულად მათი ჩართულობით, შესაბამისად, ჩვენი შეფასება - დტსუ აკადემიური შტატის მიერ პროგრამის რეალიზაციისთვის მზაობა - უპირველეს ყოვლისა „პროგრამის განვითარების“ ჯგუფის მიერ სწორად დაგეგმილ და განხორციელებულ პროცესზე დაკვირვებას ეფუძვნება.

შესაბამისად, ამ ნაწილში ჩვენი (უს-ის) ძლიერი მხარეები/სამოქმედო გეგმა მცირე დამატებით იდენტურიახუ-ის წინა შეფასების (2012-2013 სასწ. წ).

## ძლიერი მხარეები:

- პროგრამა მთლიანად, მისი სასწავლო კურსები/მიმართულებები სრულად დაკომპლექტებულია აკადემიური შტატით;
- არჩეული აკადემიური შტატის რაოდენობა, კვალიფიკაცია და კომპეტენციები აკმაყოფილებს უს-ის და ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- სტუდენტთა გამოკითხვით პედაგოგთა შეფასება დადებითია;
- აკადემიური კადრების ხარისხის გაუმჯობესების სტარტეგიის რეალიზაციის დაწყება.
- ახალი პროგრამისთვის საჭირო PBL ტუტორთა აუცილებელი მინიმუმი გარანტირებულია.

## სამოქმედო გეგმა

- აკადემიური კადრების ხარისხის გაუმჯობესებების ღონისძიებებზე მუშაობის გაგრძელება, მათ შორის დტსუ სამედიცინო განათლების ცენტრის ხელშეწყობით.
- ვაკანსიების საუკეთესო კადრებით დაკომპლექტება;
- სტუდენტთა მიერ პედაგოგის შეფასების „დადებითის“ „სანიმუშო პედაგოგები“ გაუმჯობესებაზე ზრუნვა.
- PBL ტუტორთა რაოდენობის და ხარისხის (სამედიცინო განათლების საკითხებში) პროგრესზე მუშაობა.

## 9.დამხმარე შტატის ხარისხი

იხ. დტსუ ანგარიში (2012/2013 სასწ. წ), აგრეთვე 1 საშტატო ერთეულით მოხდა დეკანატის შევსება. აყვანილი იქნა კომპიუტერული უზრუნველყოფის და პროგრამირების ახალი სპეციალისტი. უს-მა იზრუნა დამხმარე შტატის ხარისხის განვითარებაზე: დააფინანსა ზოგიერთი მათგანის ტრენინგი (იხ. დანართი 6. დამხმარე შტატის ხარისხის განვითარება). პროექტის „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“ ფარგლებში ინგლისში ტრენინგზე გაიგზავნა შესაბამისი პირები (იხ. დანართი 1.5).

უნივერსიტეტმა ასევე იზრუნა საბიბლიოთეკო ფონდის შევსებაზე (იხ. დანართი 1.7. დტსუ საბიბლიოთეკო ფონდის შევსება 2013-2014 წ).

#### **ძლიერი მხარეები:**

- ადმინისტრაციული ერთეულების და სტრუქტურების მათი შესაბამისი სამსახურების დებულებათა და შრომითი შინაგანაწესის ფარგლებში სათანადო მუშაობა.
- ადმინისტრაციის მიერ აღებული ვალდებულება დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამეურნეო პერსონალის (ასევე აკადემიური შტატის) წახალისების.
- დახმარე პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა (ტრენინგების დაფინანსება).

#### **სუსტი მხარეები:**

- ადმინისტრაციული, სამეურნეო პერსონალისთვის „შრომითი წარმატებისათვის“ წახალისების გამოყენების ნაკლებობა.

#### **სამოქმედო გეგმა:**

- უს-ის სამსახურის მიერ სათანადო კითხვარის შემუშავება და სტუდენტთა და აკად. პერსონალის აზრის შესწავლა ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობაზე.

## **10. სტუდენტთა ხელშეწყობა და კონსულტირება**

სტუდენტთა პრობლემებზე უკეთ ფოკუსირებისათვის, ასევე სასწავლებელში მიმდინარე ცვლილებებში მათი აზრის გათვალისწინებისა და მათი ინფორმირებულების გაზრდის მიზნით ისინი (სტუდენტური თვითმმართველობის წამომადგენლები) ჩართულნი არიან რექტორის საბჭოს, ასევე ხუ-ის სამსახურის მუშაობაში. მიმდინარეობს სტუდენტთა დახმარების არსებული სერვისის რევიზირება.

## სამოქმედო გეგმა:

- თანადგომის არსებული ინსტიტუტების გამლიერება სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებაზე ორიენტაციით.

## 11. ინფრასტრუქტურა და გარემო

დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას: პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი სათანადო ფართი, სალექციო ოთახების, მათი ტექნიკური აღჭურვის, ა. შ. ჩათვლით და აგრეთვე კლინიკური კურსების სწავლებისთვის სათანადო სასწავლო ბაზები.

დაწესებულების საკუთრებაში/მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესისათვის: ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი შეადგენს 2004.32 კვ.მ., აქედან სასწავლო ფართის ოდენობა არის 1206.48 კვ.მ., ხოლო დამხმარე ფართის ოდენობა 683.21 კვ.მ.

სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები. დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. არსებობს კლინიკური სასწავლო ბაზები (დანართი 8. დტსუ კლინიკური ბაზები და სასწავლო სამეცნიერო მემორანდუმის წევრები).

მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში უს-მა იზრუნა ინფრასტრუქტურის და სასწავლო გარემოს გარკვეულ გაუმჯობესებაზე: გაარემონტა რიგი სასწავლო და ადმინისტრაციული დანიშნულების ოთახები, სალექციო აუდიტორიები; შეავსო კომპიუტერული, ქსელური და სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარი, ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდი. ასევე არსებობს საერთაშორისო ელექტრონულ ბიბლიოთეკების ბაზებთან წვდომა, რაც მნიშვნელოვნად ეხმარება სტუდენტებს განსაკუთრებით სამეცნიერო კვლევისათვის ღირებული ინფორმაციის მოძიებაში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ უს-მა იზრუნა სასწავლო/კვლევითი გარემოს გაფართოებაზე: რიგ წამყვან სამეცნიერო-კვლევით და სამკურნალო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმის მეშვეობით სტუდენტებს ექმნებათ სწავლისა და კვლევითი საქმიანობისათვის უფრო ფართე და გაუმჯობესებული გარემო. (იხ. დანართი 1. 8).

სამედიცინო განათლების ცენტრისა და ახალი პროგრამისთვის საჭირო PBL სწავლების ოთახებისთვის გამოყო და გაარემონტა ფართი, ასევე დაუკვეთა საჭირო ინვენტარი. ცენტრის კომპიუტერული საშუალებებით უზრუნველყოფა მოხდება ევროკომისიის მიერ ტემპუსის პროექტის განხორციელების ფარგლებში.

სგც, ასევე PBL ოთახების სათანადო აღჭურვა ხორციელდება ტემპუსის პროექტის ფარგლებში: ჩატარებულია ტენდერი, მიმდინარებს შემოთავაზებული წინადადებების დამუშავება, რომლის თანახმადაც გამარჯვებულ კომპანიასთან დაიდება ხელშეკრულება და დასრულდება ზ/ა სტრუქტურების სრული ტექნიკური აღჭურვა (დანართი 1.9. დანართი 1.10. PBL ოთახების და სგც-ის კომპიუტერული ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის ჩამონათვალი სპეციფიკაციების მითითებით. ტენდერის დოკუმენტაცია).

#### **ძლიერი მხარეები:**

- პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსები, აღჭურვილობის, მასალების და საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩათვლით, საკმარისია.
- უს-ის კომპიუტერული ბაზის, ინტერ- და ინტრანეტის მეშვეობით უზრუნველყოფილია კომპიუტერული და ქსელური ინფრასტრუქტურა, რომელიც სწავლებისთვის, კვლევებისთვის, სერვისისა და ადმინისტრირებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სრული ექსპლუატაციის შესაძლებლობას იძლევა.
- სრული ტექნიკური აღჭურვა.
- ახალი პროგრამის PBL ოთახების და სამედიცინო განათლების ცენტრის ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფისათვის მიმდინარე სამუშაოები.
- განახლებულია/გარემონტებულია რიგი სასწავლო ოთახებისა.
- სტუდენტებს (გაფორმებული ახალი მემორანდუმები ფარგლებში) აქვთ კვლევითი აქტიურობისათვის გაუმჯობესებული სამეცნიერო და სასწავლო გარემო.

## **12. სტუდენტთა შეფასება (სტუდენტთა აზრის კვლევა)**

ახალი პროგრამის ამუშავებამდე სტუდენტთა აზრის გამოკითხვა შედეგის მომცემი ვერ იქნება. ხუ-ის მიერ არსებული პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სამუშოს შეფასება არსებული პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სამუშოს შეფასება (იხ. 2012-2013 სასწ. წლის ანგარიშში). ახალი პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის და მათი აზრის (პროგრამის შესახებ) გათვალისწინების მიზნით სტუდენტთა და დოქტორანტთა წარმომადგენლები ჩართულნი იყვნენ „პროგრამის განვითარების ჯგუფის“ მიერ აკადემიურ შტატთან ერთად დაგეგმილ პროგრამის, PBL კვირის განხილვის პროცესში.

#### **სამოქმედო გეგმა:**

- ახალი პროგრამის რეალიზაციისთანავე სტუდენტთა აზრის კვლევის დაწყება.

### **13. კურიკულუმის დიზაინი და შეფასება**

საბაზისო მეცნიერებები მედიცინის სწავლების პროგრამაში აღარ რჩება ტრადიციული ფორმით და მთელს მსოფლიოში (მათ შორის საქართველოშიც) საჭიროებს ცვლილებებსა და განხილვას. თანამედროვე კურიკულუმის დიზაინი ეფუძნება კლინიკური და გამოყენებითი კვლევების ჩართვას, განათლებასა და ჯანდაცვაში ელექტრონული ტექნოლოგიების არსებობის ზრდას, სტუდენტზე-ფოკუსირებული და მოქნილი დიზაინის კურიკულუმების იმპლემენტაციას და პროფესიონალიზმსა, ეთიკურ ღირებულებებსა და ინტერპროფესიულ ჯგუფში მუშაობაზე ყურადღების კონცენტრირებას.

დტსუ-ს MD პროგრამული მოდერნიზაციის (როგორც ყველა MD პროგრამის) საზოგადო მიზანია რეალურ სამედიცინო პრაქტიკასთან უფრო ადაპტირებული, პერსონალიზირებული, კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლების სტილის შეთავაზება. მოდერნიზაციის ფოკუსი მიმართულია არსებული (მიმდინარე) პროგრამის საბაზისო (თეორიული) სწავლების ეტაპზე; შინაარსი (მოდერნიზაციის) გულისხმობს ადამიანის ორგანოთა სისტემების მიხედვით შესასწავლი მასალის (მოდულები და მათში ორგანიზებული საგნობრივი ბლოკები) სტრუქტურირებას პერსონალიზაციაზე (კონკრეტულ ქეისზე მიმართვას), რაც აადვილებს საბაზისო და კლინიკურ მეცნიერებებში ცოდნის მიღებას და უფრო მეტად კი მის გაცნობიერებას. აგრეთვე, ახალი პროგრამა გულისხმობს

სწავლების/სწავლის ისეთი მეთოდების (PBL ფორმატი) დანერგვას, რაც ემსახურება სტუდენტის ინტელექტუალური (საკითხის ინტერდისციპლინარული ანალიზი, კლინიკურ კონტექსტში ანალიზი, ინტერპრეტაცია, ა. შ.), პროფესიული/პრაქტიკული უნარჩვევების, ასევე ზოგად/ტრანსფერული კომპეტენციების მეტად განვითარებას. დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობა: III-V სემესტრების არსებული სასწავლო მოდულები შენარჩუნებულია, მათში ჩართულია სწავლების ახალი ფორმატი და მეთოდები (PBL კვირა: PBL ტუტორიალი, GCE, სამეცნიერო და ეთიკის ტუტორიალი, შეფასების არსებული სისტემის შენარჩუნება და ახალი მეთოდებით გამდიდრება), არსებული აკადემიური შტატი სათანადოდ მომზადებულია (დტსუ-ში საბაზისო მეცნიერებათა სწავლებაში ჩართული შტატი თავისი საბაზისო განათლებით დიპლომირებული მედიკოსია, აგრეთვე სათანადოდ ინფორმირებულია პროგრამულ ცვლილებებთან მიმართებაში), საბაზისო ტრენინგი ახალ შტატთან (PBL ტუტორებთან) ჩატარებულია; პროგრამის ტექნიკური უზრუნველყოფა (PBL ოთახები, კომპიუტერები, ა. შ.) გარანტირებულია EU გრანტით.

კურიკულუმის დიზაინის საკითხების განხილვა მუდმივად ხდებოდა ტემპუსის პროექტის ფარგლებში უცხოელ პარტნიორებთან, აგრეთვე ქუთაისში აწსუ-ს მხრიდან პროექტის მონაწილეებთან (იხ. დანართი 1.11. ქუთაისში დტსუ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო დაკულტეტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ანგარიში). ამასთან ჩვენი ქვეყნისთვის პრობლემურად რჩება დამსაქმებელთა ჩართვა კურიკულუმის დიზაინის განსაზღვრაში, ასევე შესაძლო ცვლილებების იმპლემენტაციის რიგ საკითხებში მათი მონაწილეობა. დტსუ-მ დაიწყო ამ მიმართლებით მუშაობა (იხ. თვითშეფასების „თავი 1, დამსაქმებლის მოთხოვნები“), თუმცა თანმიმდევრული კვლევების და ანალიზის გაგრძელება აუცილებელია. მიმდინარე სასწავლო წელს დტსუ-ში სტრატეგიული განვითარების გეგმიდან გამომდინარე, ასევე ტემპუსის პროექტის ფარგლებში და პარტნიორთა ხელშეწყობით დაფუძვნდა სამედიცინო განათლების ცენტრი, რომელიც სხვა საკითხებთან (პროგრამის ახალი დიზაინი, შეფასების სიტემა, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, პროგრამის ინტეგრირების ზრდა, ა. შ.) ერთად იზრუნებს აღნიშნულ პროცესებში დამსაქმებელთა ჩართვასა და მათი აზრის გათვალისწინებაზე.

#### **სამოქმედო გეგმა:**

- დიპლომამდელი სამედიცინო განათლების პროგრამის დიზაინის შემუშავებაში დამსაქმებელთა ჩართვა და/ან როგორც მინიმუმ არსებული კვლევის კორექტული ანალიზი.

## 14. Statis ganviTarebis aqtivobebi

დტსუ-ში არსებული აკადემიური შტატი აკმაყოფილებს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად არსებულ მოთხოვნებს. შესაბამისად ჩვენ არ ვსაუბრობთ “კომპეტენტურობის მინიმალურად აუცილებელ დონეზე”. თუმცა სწავლების უნარები განვითარებას საჭიროებს. საკადრო საკითხებთან მიმართებაში განვითარება ნიშნავს, რომ სასწავლო დაწესებულობს უნდა ჰქონდეს სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომების შეთავაზების შესაძლებლობა. აღნიშნულის სრულად გაცნობიერებით დტსუ-მ დააფუძვნა სამედიცინო განათლების ცენტრი, რომლის მიზნებსა და ფუნქციებში ერთერთი უმთავრესი სწორედ ზ/ა-ის რეალიზაციაა.

ხუ-ის სამსახური სრულად ეთანხმება აღნიშნული ცენტრის სტრატეგიებს, ამ სტრატეგიათა რეალიზაციის მექანიზმებს, აგრეთვე მიაჩნია, რომ ისინი სრულ შესაბამისობაში არიან უს-ის მიზნებსა და სტრატეგიებთან.

ახალი პროგრამისთვის საჭირო ფორმატში, PBL ტუტორიალისთვის მომზადდა აკადემიური შტატი ტემპუსის პროექტის ფარგლებში (ხარისხის უზრუნველყოფის ანგარიშის დანართი 6. 2012-2013).

### სამოქმედო გეგმა:

- ახლად დაფუძვნებული სგც-ის მუდმივი ხელშეწყობა, მათი მიზნების ეფექტური რეალიზაციისთვის.
- სამედიცინო განათლებაში და პედაგოგიური უნარების სრულყოფაში ხარისხიანი ტრენინგ პროგრამების მომზადების ხელშეწყობა.

## 15.kursdamTavrebulTa miRwevebi

არ განხილულა ასეთის ჯერჯერობით არ არსებობის გამო.

## დასკვნა

ხუ-ის მიერ ჩატარებული შეფასების მიხედვით დღესუ ახალი პროგრამა: დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა (ე-პდს) სწორად პასუხობს დარგის (სამედიცინო განათლება) თანამედროვე გამოწვევებს, კერძოდ „საბაზისო სამედიცინო და კლინიკური მეცნიერებების“ სწავლების ეტაპზე საბაზისო მეცნიერებათა ნაკლებად გამართლებული განმეორებადობა, ფაქტებით გადატვირთვა კურსდამთავრებულთა მომავალ საქმიანობასთან მეტ ფოკუსირებაზე იცვლება, იზრდება პროგრამის/სწავლების ინტეგრაციის დონე, მეტი აქცენტი კეთდება სწავლაზე. პროგრამის მოდერნიზაციის მოსამზადებელი ეტაპი „სწორადაა“ განსაზღვრული და წარმართული, რაც (აკრედიტაციის მიღების პირობებში) ჰქმნის მისი ასევე „სწორი“ რეალიზაციის დასაბუთებულ რწმენას.

ხუ სამსახურის შეფასებით დღესუ-ში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესი (მათ შორის ახალ პროგრამასთან მიმართებაშიც) პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს (იხ. ძლიერი მხარეები) თუმცა რჩება რიგი პრობლემური არეები (იხ. სუსტი მხარეები) რაზეც მუშაობა მიმდინარეობს და რაც აისახა მომავლის სამოქმედო გეგმაში (იხ. სამოქმედო გეგმა).

## დტსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

### თვითშეფასების ანგარიში

(2013-2014 სასწავლო წელი)

#### დანართების ჩამონათვალი

- 1.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ოქმი 2; 15.10.2012.  
(სამედიცინო დარგისთვის ღირებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების შესახებ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი).
- 1.2. პროგრამის ცნობადობის, კონკურენტუნარიანობის მიზნით ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პროგრამის პრეზენტაცია (ჩამონათვალი).
- 1.3. PBL-ში აქტივობის შეფასება
- 1.4. PBL ტუტორთა სერტიფიკატები
- 1.5. ანგარიშები, სერტიფიკატები (ქეისის ავტორობის და PBL სესიის ტექნიკური ტექნიკური უზრუნველყოფის ნაწილში ტრენინგი სენტ-ჯორჯში ჩატარებული ტრენინგის შესახებ)
- 1.6. სერტიფიკატები (დამხმარე შტატის ტრენინგები)
- 1.7. საბიბლიოთეკო ფონდი
- 1.8. დტსუ კლინიკური სასწავლო ბაზები, დტსუ მემორანდუმები
- 1.9. დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა
- 1.10. ტენდერის დოკუმენტაცია; სგც-ის კომპიუტერული და პროგრამული უზრუნველყოფის ჩამონათვალი სპეციფიკაციების მითითებით
- 1.11. ანგარიში ქ. ქუთაისში დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტისა (დტსუ) და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ) სამედიცინო ფაკულტეტის სამუშაო ჯგუფების შეხვედრის შესახებ
- 1.12. სგც დებულება

